ვაკანსიის № 86480

პოზიციის დასახელება	სტაჟიორი სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილებაში არქიტექტურის მიმართულებით
კონკურსის ტიპი	სტაჟირება
ორგანიზაცია	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
კატეგორია	არქიტექტურა
განცხადების ბოლო ვადა	09.07.2024
თანამდებობრივი სარგო	399 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	დმანისი

ფუნქციები

- ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების მომზადება და მათ განსახორციელებლად რეკომენდაციებისა და წინადადების შემუშავება;
- მშენებლობის ნებართვების თაობაზე სამართლებრივი აქტების მომზადება;
- სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერის სამართლებრივი აქტების, მერიის წერილების, ოფიციალური დოკუმენტაციების პროექტების მომზადება;
- მოქმედი კანონმდებლობით და კომპეტენციის ფარგლებში სტაჟიორის მენტორის დავალებით სხვა ფუნქციების განხორციელება.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	სტუდენტი

საკონკურსო თემატიკა

საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“.საქართველოს მთავრობის დადგენილება 255 2019 წლის 31 მაისი „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“საქართველოს მთავრობის დადგენილება 261 2019 წლის 3 ივნისი „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	ქ.დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა N41
საკონტაქტო ტელეფონები	598300619
საკონტაქტო პირი	ნონა ხორბალაძე

დამატებითი მოთხოვნები

1. სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) იცის სახელმწიფო ენა;
ბ) სწავლობს უმაღლესი განათლების არქიტექტურის ან/და მშენებლობის ფაკულტეტის პირველ (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მე-2 ან მე-3 საფეხურზე ან/და დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების არქიტექტურის ან/და მშენებლობის ფაკულტეტის ერთ-ერთი საფეხური.

დამატებითი ინფორმაცია

- სავალდებულოა კანდიდატმა შესაბამის ველში ატვირთოს:
- უმაღლესი განათლების არქიტექტურის ან/და მშენებლობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის დამადასტურებელი დოკუმენტი ან უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი ცნობა (რომლის მიხედვით დასტურდება, რომ კანდიდატი არის პირველი საფეხურის დამამთავრებელი კურსის არქიტექტურის ან/და მშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტი) ან აქვს ბაკალავრის ხარისხი.

- დოკუმენტაცია ატვირთული უნდა იქნას სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი დოკუმენტაციის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა). საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კანდიდატი გასაუბრებაზე არ დაიშვება;
- სტაჟირების მსურველი პირის შეფასება ხდება გასაუბრების საფუძველზე;
- სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 3 (სამი) თვეს;
- გავლილი სტაჟირების ვადა ჩაითვლება შრომით სტაჟში;
- პირი სტაჟიორად მიიღება კონკურსის წესით, რაც გულისხმობს სტაჟირების მსურველი პირებისგან საუკეთესოს შერჩევას განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, კომპეტენციების, ცოდნისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე;
-კანდიდატის სტაჟიორად მიღება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასთან დადებული ხელშეკრულებით, რომლითაც განისაზღვრება სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები;
2. პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:
ა) იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;
ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;
გ) მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;
დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
ე) თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ იმავე საჯარო დაწესებულებაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

სტაჟირების საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება